ვანის არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვა და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის აღდგენა

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მეორე პროექტი
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი და კლასიფიცირება

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის ინფრასტრუქტურის აღდგენას და კომუნალური მომსახურების საშუალებების უზრუნველყოფას. კერძოდ კი, ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკონსერვაციო გადახურვის მოწყობა გათხრების შედეგად აღმოჩენილი 5 ძეგლისათვის და ვანის არქეოლოგიური მუზეუმის და არქეოლოგიური უბნის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე აგრეთვე, მოეწყობა საინფორმაციო სტენდები, მოსასვენებელი სკამები და სანაგვე ურნები.

არქეოლოგიური უბნების დასაცავად შემდეგ ობიექტებზე გათვალისწინებულია მეტალის/ლამინირებული შუშის დამცავი საკონსერვაციო გადახურვის მოწყობა: 1. ცენტრალური კარიბჭე (100 $მ^2$ ფართობზე); 2. მოზაიკური ტაძარი (220 $მ^2$ ფართობზე); 3. მრგვალი ტაძარი (120 $მ^2$ ფართობზე); 4. ზედა ტერასა სამლოცველო (20 $მ^2$ ფართობზე); და 5. ბავშვის სამარხი (3 $მ^2$ ფართობზე). დამცავი გადახურვის მოწყობის სამუშაოები მოიცავს:

- დროებითი ხის დამცავი გადახურვის მოწყობა არქეოლოგიურ უბნებზე;
- არსებული მეტალის დამცავი გადახურვისა და ღობეების დემონტაჟი;
- რკინაბეტონის საძირკვლების მშენებლობა;
- სახურავის მეტალის კონსტრუქციების მონტაჟი;
- მინის მოაჯირების მოწყობა;
- სახურავის ბურულის მოწყობა მოთუთიებული თუნუქითა და მეტალის პროფილით (ლამინირებული მინის დამცავი გადახურვა მოეწყობა სამლოცველოსა და ბავშვის სამარხისათვის.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმისა და არქეოლოგიური უბნის დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს:

- ხიდის დამცავი მოაჯირების მოხსნა;
- არსებული მეტალის ფენილის ზედაპირის გაწმენდა ჟანგისაგან ქვიშის ჭავლით და ანტიკოროზიული ხსნარით;
- მეტალის ზედაპირის შეღებვა;
- ხიდის ორივე მხარეს მდგარი მეტალის მზიდი კონსტრუქციის შეფუთვა უჟანგავი ფოლადის ფურცლით;
- დამცავი მოაჯირის შეცვლა უჟანგავი ფოლადის დაწნული ბადით, რომელიც შეიმოსება გამჭვირვალე და ელასტიური პლასტიკური მეტალით

დამცავი გადახურვა გამიზნულია ვანის არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილას ღია ცის ქვეშ განლაგებული არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაციისათვის. არსებული დამცავი მეტალის გადახურვები ძველია; თუნუქის

ფურცლის გადახურვა ძალიან დაზიანებულია და მისი აღდგენა შეუძლებელია; კონსტრუქციების ხის ნაწილები დამპალია და სახეზეა ობის წარმოქმნის პროცესი. ეს კონსტრუქციები არ ფარავს ძეგლების მთელ ზედაპირს და არ უზრუნველყოფს მათ დაცვას. მეტალის ბოძები კონსტრუქციულად არამდგრადი და დაჟანგულია, რის გამოც ისინი საფრთხეს წარმოადგენს მათ ქვეშ მდგომი ხალხისა და თვითონ ძეგლების მთლიანობისათვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ შემუშავებული ვანის არქეოლოგიური ობიექტის აღდგენის ზოგადი კონცეფციის თანახმად, სამუშაოები რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. პირველი ეტაპი (რომელიც ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება) უზრუნველყოფს გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოებს ხუთი არქეოლოგიური ძეგლისათვის და ასევე შემაერთებელი ხიდის რეაბილიტაციას. შემდგომ დაგეგმილია ღია საგანმანათლებლო სივრცის, დამთვალიერებლების მოძრაობის მიხედვით ბილიკების, გათხრების ყველა უბნისათვის დამცავი გადახურვების მოწყობა და გადასახედი ტერასების მშენებლობა მთელი მუზეუმის და ნაკრძალის ტერიტორიის პანორამული ხედის აღსაქმელად.

(A) ზეგავლენის იდენტიფიცირება

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზეგავლენა გარემოზე?	ქვე-პროექტს აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და სავარაუდოდ მას ექნება გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა სოციალურ გარემოზე.
რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?	ქვე-პროექტი ითვალისწინებს ძალიან მაღალი სამეცნიერო და კულტურული ღირებულების მქონე ვანის არქეოლოგიური ობიექტის რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ღია ცის ქვეშ არსებული არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაციისათვის დამცავი გადახურვების მოწყობის მეშვეობით. სტრუქტურული მთლიანობის დარღვევის ან კულტურულ-ისტორიულ ღირებულებებზე ზეგავლენის რისკი მინიმალურია. სამუშაოების დაწყებამდე, ყველა არქეოლოგიურ უბანზე მოეწყობა დროებითი დამცავი გადახურვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი დაცვა ნებისმიერი შესაძლო დაზიანებისაგან. დროებით გადახურვებზე მოეწყობა წყალგაუმტარი ტენტები. ახალი დამცავი გადახურვები ადგილობრივი ლანდშაფტის, არქეოლოგიური სპეციფიკის და უბნების არქიტექტურულ სივრცობრივი მოცემულობის გათვალისწინებით არის დაპროექტებული.

	ყველა სამუშაო შესრულდება არქიტექტორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე სავარაუდოდ იქნება ხანმოკლე და ტიპური საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მოდიფიცირებულ გარემოში: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, მანქანა-მექანიზმების გამონაბოლქვი, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ, ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორიცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.
შესაძლოა, რომ ქვე-პროექტს ჰქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ვანის არქეოლოგიური გათხრების ობიექტი იმერეთის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს. მისი მოწყობა გაზრდის მის მიმზიდველობას ტურისტებისათვის. ტურისტების გაზრდილი ნაკადი დადებით სოციალურ ზეგავლენას იქონიებს დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესების მეშვეობით. ქვე-პროექტის განხორციელება შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის და გაზრდის მათ შემოსავლებს. ტურისტების გაზრდილი ნაკადი წვლილს შეიტანს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაში, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში კერძო სექტორის ინვესტიციების გაზრდის მეშვეობით (სასტუმროები, რესტორნები, სავაჭრო ობიექტები, გასართობი ადგილები და ა.შ). დამთვალიერებლების უსაფრთხოება გაუმჯობესდება დამაკავშირებელი ხიდის აღდგენის მეშვეობით. ქვე-პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას. უარყოფითი ზემოქმედებები მოკლე ვადიანია და შემოიფარგლება მხოლოდ სამშენებლო ობიექტზე დამთვალიერებლების თავისუფლად შესვლის შეზღუდვით.

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუა რა პროექტირებისას ქვე-პროექტის ალტერნატივები?	შერჩეული იქნა ხუთი არქეოლოგიური უბანი, რომელიც დაუყოვნებელ საკონსერვაციო სამუშაოებს საჭიროებს. განხილული იქნა დამცავი გადახურვის მასალებისა და პროექტის ალტერნატივები და შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი ფუნქციონალური და ესთეტური თვალსაზრისით. გათვალისწინებული იქნა არქეოლოგიური ექსპედიციის წევრების ყველა მოთხოვნა.
რა შემარბილებელი ღონისძიებებია განსაზღვრული?	მშენებლობის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენები შესაძლოა მარტივად შემსუბუქდეს შემდეგი ღონისძიებების გატარებით: სამშენებლო ადგილის შემოსაზღვრა, მოძრაობის მართვა, მანქანა-დანადგარების შესაბამისი მოვლა, სამუშაო საათების დაცვა, სამშენებლო ნარჩენების ორგანიზებულად განთავსება ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილას. ობიექტის ექსპლუატაციისას, გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას წარმოქმნილი მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების სათანადოდ განკარგვა.
წინა მსგავსი ქვე-პროექტების განხორციელებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტირებისას?	ქვე-პროექტის პროექტი შეიმუშავა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, რომელმაც უკვე დაასრულა სწრაფი და გადაუდებელი სამუშაოები დმანისისა და ძალისას ნასახლარების არქეოლოგიური ობიექტების/ძეგლების კონსერვაციისათვის. სამუშაოები დაიგეგმა იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც შეძენილი იქნა ანალოგიური საქმიანობის განხორციელებისას დმანისსა და ძალისაში. მუზეუმსა და ნაკრძალის ტერიტორიაზე ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად, პროექტის მიხედვით სამუშაოების წარმოება

	ჩატარდება ეტაპობრივად, მრგვალ ტაძარზე, ზედა ტერასა სამლოცველო და ბავშვის სამარხზე, შემდეგ მოზაიკურ ტაძარზე და კარიბჭეზე, ხოლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები პარალელურ რეჟიმში იწარმოება. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ყველა ობიექტი გადაიხურება დროებითი ხის დამცავი გადახურვით, რათა თავიდან იქნას აცილებული მშენებლობით გამოწვეული დაზიანება.
იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები? ქვე-პროექტის პროექტირებისას სათანადოდ მოხდა თუ არა მათი ინტერესებისა და ცოდნის გათვალისწინება?	ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 29 ოქტომბერს. საჯარო განხილვის ოქმი თანდართულია.

(C) რანჟირება

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია:

A ☐

B ■

C ☐

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ■

რისკების შეფასები საფუძველზე, ქვე-პროექტი საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ☐
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით ■

სოციალური ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური ზემოქმედების სკრინინგისათვის		**კი**	**არა**
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)		✓
2	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვარი, წყალი, კომუნალური მომსახურება, საჯარო სივრცე ან სხვა რესურსებზე, რომლებზეც მოსახლეობა არის დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მუდმივ ან დროებით საჯარო ან კერძო საკუთრებაში არსებულის) შესყიდვას?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და შინამეურნეობის ინფრასტრუქტურის (როგორიცაა		✓

	დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ.) დროებით ან მუდმივ დანაკარგს?		
თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა პირველი კითხვისა) მაშინ უნდა ამოქმედდეს უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტ-კის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“ , მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა **OP/BP 4.11 - ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით აღმოჩენების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.			

* ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც 1981 წელს დაარსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაწილს წარმოადგენს. ვანის მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ვანის ანტიკურ ნასახლარს (არქეოლოგიური უბანი), არქეოლოგიურ ბაზას და მუზეუმს. ვანის არქეოლოგიური უბნის ტერიტორიაზე მდებარეობს კერძო მიწის ნაკვეთები და ადგილობრივი მაცხოვრებლების საკუთრებაში მყოფი სახლები. ქვე-პროექტის განხორციელება არ მოითხოვს ახალი მიწის ნაკვეთების ათვისებას. ყველა სამშენებლო სამუშაო განხორციელდება საცხოვრებელი ზონის მიღმა. ამჟამად, მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება დაუზუსტებელი ფართობით 85 000 $м^2$, რომელიც უზუფრუქტით გადაცემულია სარგებლობისთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის. საქართველოს ეროვნულ მუზეუმს დაწყებული აქვს მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკის მომზადების პროცესი. ტერიტორიაზე არსებული კერძო მიწის ნაკვეთები და სახლები არ იქნება რეგისტრირებული. საკადასტრო ინფორმაცია თანდართული იქნება რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

1. შესავალი

1.1 საფუძველი

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (მთავრობის დადგენილება #172), რომელიც მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. სტრატეგიის მთავარი მიზანია ხელშემწყობი გარემოს შექმნა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული მიზანი მიღწეული უნდა იქნეს დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, გაზრდილი კონკურენტულობით და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებით.

იმერეთში არსებული ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს იმერეთის რეგიონული განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მომზადდა რეგიონული განვითარების მეორე პროექტი და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი იქნა სესხი მისი განხორციელებისათვის.

ვანის არქეოლოგიური ობიექტის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ნაწილი, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

1.2 ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს **მუნიციპალური განვითარების ფონდი** არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი

ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი პასუხისმგებელია ობიექტის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე.

1.3 კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.12)

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის მომზადებას.

2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის ინფრასტრუქტურის აღდგენას და კომუნალური მომსახურების საშუალებების უზრუნველყოფას. კერძოდ კი, ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკონსერვაციო გადახურვის მოწყობა გათხრების შედეგად აღმოჩენილი 5 ძეგლისათვის და ვანის არქეოლოგიური მუზეუმის და არქეოლოგიური უბნის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე აგრეთვე, მოეწყობა საინფორმაციო სტენდები, მოსასვენებელი სკამები და სანაგვე ურნები.

არქეოლოგიური უბნების დასაცავად შემდეგ ობიექტებზე გათვალისწინებულია მეტალის/ლამინირებული შუშის დამცავი საკონსერვაციო გადახურვის მოწყობა: 1. ცენტრალური კარიბჭე (100 მ^2 ფართობზე); 2. მოზაიკური ტაძარი (220 მ^2 ფართობზე); 3. მრგვალი ტაძარი (120 მ^2 ფართობზე); 4. ზედა ტერასა სამლოცველო (20 მ^2 ფართობზე); და 5. ბავშვის სამარხი (3 მ^2 ფართობზე). დამცავი გადახურვის მოწყობის სამუშაოები მოიცავს:

- დროებითი ხის დამცავი გადახურვის მოწყობა არქეოლოგიურ უბნებზე;
- არსებული მეტალის დამცავი გადახურვისა და ღობეების დემონტაჟი;
- რკინაბეტონის საძირკვლების მშენებლობა;

- სახურავის მეტალის კონსტრუქციების მონტაჟი;
- მინის მოაჯირების მოწყობა;
- სახურავის ბურულის მოწყობა მოთუთიებული თუნუქითა და მეტალის პროფილით (ლამინირებული მინის დამცავი გადახურვა მოეწყობა სამლოცველოსა და ბავშვის სამარხისათვის.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმისა და არქეოლოგიური უბნის დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს:

- ხიდის დამცავი მოაჯირების მოხსნა;
- არსებული მეტალის ფენილის ზედაპირის გაწმენდა ჟანგისაგან ქვიშის ჭავლით და ანტიკოროზიული ხსნარით;
- მეტალის ზედაპირის შეღებვა;
- ხიდის ორივე მხარეს მდგარი მეტალის მზიდი კონსტრუქციის შეფუთვა უჟანგავი ფოლადის ფურცლით;
- დამცავი მოაჯირის შეცვლა უჟანგავი ფოლადის დაწნული ბადით, რომელიც შეიმოსება გამჭვირვალე და ელასტიური პლასტიკური მეტალით

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ შემუშავებული ვანის არქეოლოგიური ობიექტის აღდგენის ზოგადი კონცეფციის თანახმად, სამუშაოები რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. პირველი ეტაპი (რომელიც ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება) უზრუნველყოფს გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოებს ხუთი არქეოლოგიური ძეგლისათვის და ასევე შემაერთებელი ხიდის რეაბილიტაციას. შემდგომ დაგეგმილია ღია საგანმანათლებლო სივრცის, დამთვალიერებლების მოძრაობის მიხედვით ბილიკების, გათხრების ყველა უბნისათვის დამცავი გადახურვების მოწყობა და გადასახედი ტერასების მშენებლობა მთელი მუზეუმის და ნაკრძალის ტერიტორიის პანორამული ხედის აღსაქმელად.

3. არსებული გარემო

ვანის მუზეუმ-ნაკრძალი 1981 წლის 21 აპრილს დაარსდა, როგორც ადგილობრივი ისტორიის მუზეუმი და საზოგადოებისათვის 1985 წლის სექტემბერში, საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმდინარეობის დროს გაიხსნა. 2006 წლიდან იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაწილს წარმოადგენს. ვანის მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ვანის ანტიკურ ნასახლარს (არქეოლოგიური უბანი), არქეოლოგიურ ბაზას და მუზეუმს.

არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება. პირველი არქეოლოგიური კვლევები და გათხრები ვანში ექვთიმე თაყაიშვილმა აწარმოა 1896 წელს. მას ასევე წილად ხვდა პატივი გამოექვეყნებინა პირველი სამეცნიერო კვლევები ვანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვანში აღმოჩენილი იქნა მრავალი არქეოლოგიური ექსპონატის დიდი მრავალფეროვნება, რომლებიც ძირითადად თარიღდება VIII-I საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აღმოჩენილი იქნა ჩვ. წ. აღ. III-I საუკუნეებით დათარიღებული დიდი არქიტექტურული კომპლექსები და ტაძრები-საკურთხევლები. ეს

უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენები საფუძვლად დაედო ვანის არქეოლოგიური ობიექტის ნაკრძალად აღიარებას და არქეოლოგიური უბნის მახლობლად მუზეუმის დაარსებას.

ვანის მუზეუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ქალაქ ვანის მახლობლად მდებარე გორაკზე, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე. ტერიტორია ესაზღვრება საცხოვრებელი სახლების ეზოებსა და ხეხილის ბაღებს. ობიექტს შუა ნაწილში კვეთს მოასფალტებული გზა, რომელიც არა მარტო არქეოლოგიურ უბნებს აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ ზედა ვანის სოფლებსაც - მთავარ გზასთან. მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს კერძო საკუთრებაში მყოფ სახლებსა და ბაღებს. ამ სახლების უმეტესობა თანამედროვეა და აშენებულია გასული საუკუნის 50-60-იან წლებში. ობიექტზე გადის გაზისა და წყლის გარკვეული რაოდენობის მილები, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს ემსახურება. ობიექტის ცენტრში დგას ორი მოკრძალებული სახლი, რომელიც არქეოლოგიურ ექსპედიციებს მასპინძლობს.

გორაკი, სადაც მუზეუმი მდებარეობს არქეოლოგიურ ობიექტს უკავშირდება ვიწრო რკინის შეკიდული ხიდით, რომელიც საშუალებას იძლევა ფეხით მოსიარულე დამთვალიერებლებმა ძალიან ხელსაყრელი მარშრუტი ჩაატარონ ქვედა კარიბჭიდან დაწყებული ხიდამდე, მუზეუმის დათვალიერებით ან ვიზიტის დასაწყისში ან მის ბოლოს.

ტერიტორიაზე შემონახულია ადრეული პერიოდის რამდენიმე არქიტექტურული ძეგლის ნანგრევები. მათ უმეტესობა დაინგრა უძველეს, ანტიკურ პერიოდში და მათი ნარჩენები გამოყენებული იქნა მასალად შემდგომი პერიოდის მშენებლობებისათვის. ვანის არქეოლოგიური ობიექტის სხვადასხვა ადგილებში ღია ცის ქვეშ მდებარე არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვები ძველია; თუნუქის ფურცლის გადახურვა ძალზედ დაზიანებულია და მისი აღდგენა შეუძლებელია. კონსტრუქციების ხის ნაწილები დამპალია და სახეზეა ობის წარმოქმნის პროცესი. ეს კონსტრუქციები არ ფარავს ძეგლების მთელ ზედაპირს და არ უზრუნველყოფს მათ დაცვას. მეტალის ბოძები კონსტრუქციულად არამდგრადი და დაჟანგულია, რის გამოც ისინი საფრთხეს წარმოადგენს მათ ქვეშ მდგომი ხალხისა და თვითონ ძეგლების მთლიანობისათვის. არსებული დამცავი გადახურვები მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე მუზეუმის მოთხოვნებსა და უსაფრთხოების ნორმებს.

მუზეუმისა და არქეოლოგიური ობიექტის დამაკავშირებელი შეკიდული ხიდის კონსტრუქციული მდგომარეობა არანაირ ეჭვს არ ბადებს. თუმცა, ფენილი მოხსნილია საყრდენი კოჭებიდან და გამძლეობა დაბალია. მეტალის ცხაური გამოიყენება დამცავ მოაჯირად მზიდ შეკიდულ ბაგირსა და ფენილს შორის. იგი საკმაოდ დაზიანებული და შემოძარცვულია მრავალ ადგილას და არ შეესატყვისება უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.

4. ქვე-პროექტის პოტენციური ზეგავლენების ანალიზი

4.1 მშენებლობის ფაზა

4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- <u>სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:</u> სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.
- <u>განსახლების საკითები:</u> ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.
- <u>დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:</u> მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა მშენებლობის ფაზაში და მცირე ოპერირების ფაზაში.
- <u>ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:</u> შეზღუდული და დროებითი.
- <u>სატრანსპორტე მოძრაობის დარღვევა:</u> ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- <u>უსაფრთხოება და წვდომა:</u> ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზ მისასვლელი და არ ემუქრება საფრთხე არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეებს.

4.1.2 ზეგავლენა ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე

ქვე-პროექტის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე სამუშაოები თანმიმდევრობით განხორციელდება სხვადასხვა ადგილებში. დამცავი გადახურვა ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე მოეწყობა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რათა მოხდეს მათი დაცვა დაზიანებისაგან. არქეოლოგიური ძეგლების კონსტრუქციულ ელემენტებზე დაგეგმილი არ არის არანაირი ინტერვენცია. ყველა კონსტრუქციული და მზიდი ელემენტები ძეგლის გარე პერიმეტრზე განთავსდება. შესაბამისად, უარყოფითი ზემოქმედების რისკის ქვეშ არ იქნება არქეოლოგიური ძეგლების კონსტრუქციული მდგრადობა და ისტორიული ღირებულება.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების ალბათობა მცირეა, რადგანაც საველე სამუშაოები და არქეოლოგიური კვლევები უკვე ჩატარებულია და ძეგლები საფუძვლიანად შესწავლილია. მიუხედავად ამისა, სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობას და მონიტორინგს გაუწევს მუზეუმის არქეოლოგი. შესაბამისად, მცირე მასშტაბიანი მიწის სამუშაოების დროს, არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს დაუყონებლივ და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელ იქნება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე.

4.1.3 ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე

ნიადაგის და წყლის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- საღებავის და ანტიკოროზიული ხსნარის დაღვრები;
- სამშენებლო მასალების (მაგ. ცემენტი და ბეტონი) და ნარჩენების (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის და ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები) არასწორად შენახვა, გამოყენება და გატანა
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი ლამიანი წყლებით;
- მანქანა-დანადგარების რეცხვა;

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს არსებული კონსტრუქციების დემონტაჟმა, ხიდის მშენებლობის გაწმენდის სამუშაოებმა, და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებამ.

მინიმალური გამონაბოლქვები და მტვერი სატრანსპორტო საშუალებებიდან შესაძლოა დაკავშირებული იყოს მასალების მოწოდებასა და ტრანსპორტირებასთან ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ საწყობებში. ყველა სამშენებლო სამუშაო მექანიკურად ხელით იწარმოებს.

მტვრის შედარებით დიდი მოცულობა წარმოიქმნება ქვიშის ჭავლით ხიდის არსებული მეტალის ზედაპირის ჟანგისაგან გაწმენდის გამო.

სამშენებლო ნარჩენები

ძველი კონსტრუქციების დემონტაჟის შედეგად მოსალოდნელია მეტალის ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც დასაწყობდება არქეოლოგიური ბაზის ტერიტორიაზე.

სხვა მოსალოდნელი ნარჩენების ტიპები წარმოადგენს ნარჩენ გრუნტს, ინერტულ მასალებს, შესაფუთ მასალებს.

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა საღებავის შესაფუთი მასალებისა და გამხსნელების სახით.

ხმაურთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ზეგავლენა

დროის მცირე მონაკვეთში, მხოლოდ კარიბჭესთან წარმოებული სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული დისკომფორტი, რადგანაც აქ ექსპლოატაციაში იქნება მცირე ზომის ამწე. ადგილი არ ექნება სატრანსპორტო საცობების წარმოქმნას, ჰაერის დაბინძურებას გამონაბოლქვით, გზების ატალახებას.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგებს მისი მოჭრის შედეგად ადგილი არ ექნება.

პოტენციური ზეგავლენა მცენარეულ საფარზე და ლანდშაფტზე

ქვე-პროექტით არ არის გათვალისწინებული ხეების ან ბუჩქების ჭრა და არსებული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი სახეცვლილება.

4.2 ოპერირების ფაზა

ობიექტის რეაბილიტაციის შემდეგ, ტურისტული ნაკადის ზრდა გამოიწვევს ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის დონის ზრდას;

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

5. შემარბილებელი ღონისძიებები

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა მომზადებული იქნა, რათა უზრუნველყოს გარემოზე ქვე-პროექტის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმადე შემცირება.

5.1 სამშენებლო ფაზა

კონტრაქტორს მოეთხოვება:

- სამშენებლო მასალის მოპოვება მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან. ან ლიცენზიების მოპოვება ინერტული მასალის მოსაპოვებლად;
- თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
- სამშენებლო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ და ზედამხედველ კომპანიასთან შეთანხმებულ ადგილზე. წარმოდგენილი უნდა იქნეს შეთანხმებულ ადგილზე ნარჩენების განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- GOST და SNIP ნორმების დაცვა.

სამშენებლო პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას რიგი შეზღუდვები და შემამსუბუქებელი ზომები:

- იკრძალება მძიმე ტექნიკის და მოწყობილობების გამოყენება ობიექტის ტერიტორიაზე;
- სამშენებლო ადგილიდან ყოველდღიურად უნდა იქნეს გატანილი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- მობილიზაციის ეტაპზე ყველა მუშამ უნდა გაიაროს შესაბამისი ტრეინინგი მაღალი სენსიტიურობის ობიექტზე მუშაობის მიმართულებით;
- სამშენებლო სამუშაოების პროცესში რაიმე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შეჩერდეს და მოპოვებული იქნას ფოტომასალა, სამუშაოები უნდა განახლდეს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე.

ხმაური

ხმაურის შესამცირებლად შემდეგი ზომები იქნება გამოყენებული:

- შეიზღუდება მაქსიმალური სიჩქარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიახლოვეს გავლისას.
- გამოყენებულ იქნება ტექნიკის სათანადო კონტროლი და მოვლა-შენახვის პრაქტიკა.
- სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში.
- აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის უქმ რეჟიმში მუშაობა. სათანადო მაყუჩები უნდა იქნეს გამოყენებული.

დაბინძურების პრევენცია

წყლების/ ნიადაგის დაბინძურების პრევენციისთვის სამშენებლო ადგილზე უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სამშენებლო მასალები უნდა ინახებოდეს სპეციალურად გათვალისწინებულ და დროებით აგებულ საწყობებში;
- საპოხი მასალა, საწვავი და გამხსნელები უნდა ინახებოდეს და მათი გამოყენება მოხდეს მხოლოდ გამოყოფილ ადგილზე,
- სახიფათო ან ტოქსიკური მასალების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს დახურულ კონტეინერებში, შემადგენლობის, თვისებებისა და მოპყრობის მითითებით, სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემაკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი);
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე აკრძალული უნდა იყოს მანქანების ტექნიკური მომსახურება, შეკეთება, რეცხვა, საცხის მოშორება;
- მიწის სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტი უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. სამუშაოების დასრულების შემდეგ, გრუნტის ნაწილი უკან უნდა ჩაიყაროს, ხოლო ნარჩენი გრუნტი გატანილი იქნას არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორიიდან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ადგილას.
- არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.

ნარჩენების განკარგვა

- მეტალის ნარჩენები უნდა განთავსდეს არქეოლოგიური ბაზის ტერიტორიაზე და საბოლოოდ გატანილი იქნება მუზეუმის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები უნდა მოთავსდეს კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.
- იკრძალება ნარჩენების დაწვა ობიექტზე;
- სახიფათო ნარჩენების შემცველი კონტეინერები უნდა მოთავსდეს გაჟონვისაგან დაცულ კონტეინერში რათა თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვები;
- ნარჩენების განკარგვის შესახებ უნდა იწარმოებოდეს დოკუმენტაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი სათანადოდ განკარგვის მტკიცებულება.

მტვერი და გამონაბოლქვი

მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშა-ხელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით. სამუშაოები უნდა იწარმოებოდეს დღის საათებში. ყველა სახის ტექნიკური მომსახურება მაღალი სტანდარტის შესაბამისი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მაღალი უსაფრთხოება და ხმაურის მინიმალური დონე. უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად.

მშრალ პირობებში, როცა შესაძლოა წარმოიშვას მტვრის დიდი რაოდენობა, გატარებული უნდა იქნეს შემდეგი ზომა: სამშენებლო მასალების და ყრილების გადახურვა.

შემარბილებელი ზომები სამშენებლო ადგილის უსაფრთხო ხელმისაწვდომობისთვის

ეროვნული ნორმების შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს სამშენებლო ადგილის სათანადოდ დაცვას და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირებას. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს:

- გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების და შემოვლითი გზის ნიშნების განთავსებას.
- სამშენებლო ობიექტის შეღობვას.
- მშენებლობის პროცესში მყოფ ობიექტებზე დამთვალიერებლების შესვლის შეზღუდვას.

5.2 ექსპლუატაციის ფაზა

ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობის შედეგად წარმოქმნილი ნაჩენების გაზრდილი რაოდენობის სათანადო მართვისთვის გატარებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

დამატებითი კონტეინერების განთავსება და საჯარიმო სანქციების დაწესება ობიექტის დანაგვიანებისათვის.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მიმდებარედ გაიზრდება სატრანსპორტო მოძრაობა, რაც გამოხატული იქნება ადგილობრივი გამონაბოლქვის და ხმაურის გაზრდაში, ასევე სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემებში. ვანის მუზეუმის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის ფარგლებში, რომელიც ასვე RDPII-ის ფარგლებში განხორციელდება, გათვალისწინებულია მანქანებისა და ავტობუსების პარკინგის მოწყობა.

6. მონიტორინგი

მგფ პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგზე. სამუშაოების ზედამხედველობისთვის დაქირავებული კონსულტანტი მეთვალყურეობას გაუწევს მიმდინარე სამუშაოების შესაბამისობას გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. ყოველთვიურად შეივსება საველე მონიტორინგის საკონტროლო სია და თან დაერთვება ფოტომასალა.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის განხორციელების ქრონოლოგიური ანგარიში ჩართული იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშში. მგფ-მა კონტრაქტორისგან უნდა მიიღოს ის ნებართვები, ლიცენზიები და წერილობითი შეთანხმებების ასლები, რაც კონტრაქტორს საქართველოს კანონმდებლობით მოეთხოვება მასალის გამოყენებისთვის, ასფალტის/ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განთავსებისათვის.

8. მონიტორინგის მართვის გეგმა

საქმიანობა	**რა** პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	**სად** არის პარამეტრი, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება?	**როგორ** უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	**როდის** განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შემენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით,	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა სატვირთო ავტომობილების შემოსაზღვრა და დაცვა სპეციალური საფარით ტრანსპორტირების განსაზღვრული საათებისა და მარშრუტების დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმებები, როგორც სამუშაო, ისე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებისაგან დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი საგზაო პოლიცია

საქმიანობა	**რა** პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	**სად** არის პარამეტრი, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება?	**როგორ** უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	**როდის** განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
					ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა.	
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; მიწის სამუშაოებისათვის მძიმე ტექნიკის გამოყენების აკრძალვა	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება მუდმივი ზედამხედველობა არქეოლოგის მიერ	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი საქართველოს ეროვნული მუზეუმი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

საქმიანობა	**რა** პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	**სად** არის პარამეტრი, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება?	**როგორ** უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	**როდის** განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება მშენებლი კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერის ტერასებად დაყოფა, კარიერის დამუშავებული ადგილების უკუჩაყრა და ლანდშაფტთან ჰარმონიზაცია; მდინარის კალაპოტიდან ხრეშისა და ქვიშის ამოღება ნაკადის გარეთ, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა მოპოვების ტერიტორიასა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მექანიზმების შესვლა წყლის ნაკადში.	კარიერის ზონები	დოკუმენტების შემოწმება სამუშაოების შემოწმება	მასალების მოპოვების პროცესში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შემცირება; მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წლის მობინადრეების საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	**რა** პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	**სად** არის პარამეტრი, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება?	**როგორ** უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	**როდის** განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროულად გადაყრა ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში	სამშენებლო ტერიტორია; ნაგავსაყრელი ტერიტორია	შემოწმება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/შემოვლის ნიშნების დადგმა; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნაგვის დროებითი განთავსება ისე რომ თავიდან იქნას აცილებული საცობები მისასვლელ გზებზე	სამშენებლო ტერიტორიაზე და მის გარშემო	შემოწმება	სამშენებლო სამუშაოების პროცესში	მოძრაობის დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით; ადგილობრივი მაცხოვრებლების დისკომფორტის შემცირების მიზნით	მგფ მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	სამუშაო ადგილზე უბედური და გაუთვალისწინებელი	მგფ,

საქმიანობა	**რა** პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	**სად** არის პარამეტრი, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება?	**როგორ** უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	**როდის** განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობას თან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვის შესახებ				შემთხვევების თავიდან აცილები მიზნით	მშენებლობის ზედამხედველი
ოპერირების ფაზა						
მყარი ნარჩენების მართვა ვიზიტორთა ცენტრიდან	სანაგვე ურნების უზრუნველყოფა ობიექტზე და ნარჩენების დროული და რეგულარული გატანის დანერგვა	რეაბილიტირებული ობიექტი	შემოწმება	ობიექტის ექსპლუატაციისას	ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილება	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია

საქმიანობა	**რა** პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	**სად** არის პარამეტრი, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება?	**როგორ** უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	**როდის** განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ობიექტის მოვლა - პატრონობა და დაცვა რეაბილიტაციის შემდეგ	უკანონი მშენებლობის და მიწის არაოფიციალური სარგებლობის აკრძალვა ისტორიული ადგილის მახლობლად.	რეაბილიტირებული ობიექტი	შემოწმება	ობიექტის ექსპლუატაციისას	ძეგლის და გარშემო ტერიტორიის ისტორიული და ესთეტური ღირებულების დაკარგვის თავიდან აცილება	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია ვანის მუნიციპალიტეტი

დანართი 1. ობიექტის ორთოფოტო

დანართი 2. ობიექტის გენგეგმა




Visitors Route and
Protective Roof Covers Plan
1. Fortress Walls C 2nd -1st BC
2. Ruins C 3rd-2nd BC
3. The Round Tample C 2nd-1st BC
4. Altar C 2nd-1st BC
5. Altar Faced with Boulders C 4th-3rd BC
6. Fortress Walls C 4th-3rd BC
7. Sanctuary L 3rd BC
8. Grave No4
9. Altar C 3rd-2nd BC
10. Fortress Walls C 2nd-1st BC
11. Ritual Signs C 3rd-2nd BC
12. Tample Complex C 2nd-1st BC
13. Well C 2nd-1st BC
14. Water Barrier C 2nd-1st BC
15. Cnannel C 2nd-1st BC
16. Fortress Wall Ruins C 2nd-1st BC
17. Fortification System with Towers,
Curtainlike Walls and Barracks C 2nd-1st BC
18. Gate Complex C 2nd-1st BC
19. Mosaic Tample C 2nd-1st BC
Information Board
Bridge
Round Tample Cover
New Drainage Trench
Gate Cover
Road
Visitors' Route
Mosaic Tample Cover
Monolithic Concrete Wall
Child's Grave Cover
Sanctuary Cover

დანართი 3. ფოტოილუსტრაციები

1. არქეოლოგიური ძეგლი - კარიბჭე

2. არქეოლოგიური ძეგლი - მოზაიკური ტაძარი

3. არქეოლოგიური ძეგლი - მრგვალი ტაძარი

4. არქეოლოგიური ძეგლები - სამლოცველო და ბავშვის სამარხი

5. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის არქეოლოგიურ უბანთან დამაკავშირებელი ხიდი

დანართი 4. საკადასტრო ინფორმაცია

N 31.01.03.828

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

გამოთხოვის რეგისტრაციის N 88201540092 - 16/07/2015 15:29:13

მიმდინარის თარიღი 17/07/2015 14:35:20

საკუთრების განცხადება

ნაკვეთი	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
31	01	03	828

ნაკვეთის საკუთრების ფორმა: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დოკუმენტით ფართობი: 83000.00 კვ.მ

ნაკვეთის წმინდა ნახევრი: 31.01.06.068;

შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი: 408.20

შენაკეთების განცხადება

გამოთხოვის რეგისტრაციის ნომერი: 312000081142 , თარიღი: 20/12/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნომერი N15.3256/3-6 , დამოწმების თარიღი: 18/11/2006 , საქართველოს კერძოსამართლის ნოტარიუსი

შენაკეთებლი
სამეგრელო-

შენაკეთებელ: იაკობი
სამეგრელო-

იპოთეკა

საგადასახადო ეკონომია:

რეგისტრირებული არ არის

სარეგისტრაციო

გამოთხოვის რეგისტრაციის ნომერი 312007081814 თარიღი: 26/11/2007

ეწევა "საქართველოს ეროვნული ბანკი"
შენაკეთებელ: სამეგრელო-
საკადასტრო ნაკვეთი - 83000 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ფართობი - 408.2 კვ.მ.;

ეწევა ბანკის ხელშეკრულება , რეგისტრის ნომერი N455, დამოწმების თარიღი:29/10/2007, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადვოკატთა და მოსამართლეთა ბიბლიოთეკის სამართალი სამართალი.

ვალდებულება

ვალდებულებები:

რეგისტრირებული არ არის

ნაგებობა რეგისტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფინანსური ბანკის მიერ 2 ნოემბერ ფილიალ საკუთრების ამრეკელი-ბაგრატიონი ინფორმაციის, ავტორიზებული ნაგებობის ნაგებობა-ნაგებობა 1999 ლარის ან მეგა ლარამდე ფიზიკის ან ფიზიკა ნაგებობა სამეგრელო-ზემო სვანეთის ადვოკატთა ბიბლიოთეკა ნაგებობა ნაგებობა 1 ანონიმური ბანკ მეგობარი, ფინანსურ-ფინანსური ბანკ ანონიმური ბანკ ანონიმური ნაგებობა ნაგებობა, ფინანსურ-ეკონომიკური ნაგებობა, ფინანსურ-ეკონომიკური ნაგებობა ეროვნული ბანკ მეგობარი ეროვნული ბანკ ანონიმური სამართალი სამართალი, რომ ანონიმურ ბანკ ფინანსური ნაგებობა ნაგებობა 5/131 ლარის ნაგებობა."

- ფინანსური ნაგებობა ბანკ ეროვნული ბანკ ეროვნული ნაგებობა ბანკ ეროვნული ბანკ ეროვნული ბანკ ეროვნული

დანართი 5. საჯარო კონსულტაციის მასალები

29 ოქტომბერი, 2015 წელი

ვანის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონალური განვითარების მეორე პროექტი (RDP 2)

ვანის არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვა და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის აღდგენა

ქვე-პროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2015 წლის 29 ოქტომბერს ვანის მუნიციპალიტეტში, გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა ქვე-პროექტის- „ვანის არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვა და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის აღდგენა“, გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზაზა სიხარულიძე.

ვანის მუნიციპალიტეტი გამგეობის წარმომადგენლები : დოღონაძე ბელა, გიორგაძე სოფიკო, ფაბკურიძე რევაზი, თოდრია ლომხარი, თურმანაული ჟუჟუნა, ბოლქვაძე ნიკა, კიკვაძე მინდია, ღვინიანიძე მარინა, ბუაჩიძე ნათია, ხელაძე ვლადიმერი, ფახურიძე სალომე, ქავთარაძე ვალერი.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები: ივანიაძე გიორგი, დვალიშვილი ნიკოლოზი, ტოხვაძე კობა

ვანის არქეოლოგიური მუზეუმის წარმომადგენლები : რამიშვილი სოფიო, აბრამიძე ლამარა, დარსალია მარიამი, ვაშაყმაძე მანანა, ახვლედიანი ზურაბი, შარაშენიძე ბადრი, გაბუნია ომარი, გაბუნია ოლეგი, ბელთაძე ინეზა, ახობაძე მთვარისა, სიმონეიშვილი ნაზი, სიმონეიშვილი ზაზა.

ადგილობრივი მოსახლეობა: კალაძე ტრისტანი, გოჩა პაიკიძე.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ანა რუხაძე - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

ნინიკო ისაკაძე- გარემოს დაცვის სამსახურის შტატგარეშე სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ანა რუხაძემ, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის, შეხვედრის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან შეხვედრისას განიხილა ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოს დაცვის მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ა. რუხაძემ ისაუბრა გარემოსდაცვითი შეფასების მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე, მათ შორის, გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ზაზა სიხარულიძემ, გამოხატა პოზიტიური დამოკიდებულება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ისაუბრა მისი მნიშვნელობის შესახებ და ადგილობრივი მოსახლეობა დაარწმუნა, რომ პროექტი არ ითვალისწინებს მიმდებარე ტერიტორიიდან რაიმე ტიპის განსახლების სამუშაოებს.

ანა რუხაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
როდის იგეგმება მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება?	მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი დასრულებულია. თუმცა ტენდერი ჯერ არ გამოცხადებულა. სავარაუდოდ, მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება მომავალი წლიდან.
ქვე-პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება მოხდება საერთაშორისო თუ ადგილობრივი კომპანიის მიერ?	ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდება ადგილობრივი კომპანიის მიერ. თუმცა, სამუშაოების განხორციელებას, მათ შორის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას გაუწევს საერთაშორისო კომპანია ეპტისა.
ითვალისწინებს თუ არა რეგიონული განვითარების მეორე პროექტი კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს? კერძოდ, განხორციელდება თუ არა საოჯახო სასტუმროების კეთილმოწყობა?	ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელება დაგეგმილი არ არის.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ სამშენებლო სამუშაოები დროულად დასრულდება.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის შტატგარეშე სპეციალისტის ნინიკო ისაკაძის მიერ.

29 ოქტომბერი, 2015

ფოტოები:

დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი:

რეგიონული განვითარების მეორე პროექტი

ვანის არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვა და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის აღდგენა

ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

29 ოქტომბერი, 2015

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	ვანის [illegible] მუზეუმი	599 63 63 27	[illegible]
2.	[illegible]	ვანის [illegible]	558 368323	[illegible]
3.	[illegible]	ვანის [illegible]	555 12 14 08	[illegible]
4.	[illegible]	ვანის [illegible]	595 09 60 49	[illegible]
5.	[illegible]	ვანის [illegible]	558 73 34 01	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	577-94-55-04	[illegible]

7.	[illegible]	[illegible]	577-50-05-56	[illegible]
8.	[illegible]	[illegible]	577-60-94-93	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	599 414368	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	557 51 06 52	[illegible]
11.	[illegible]	[illegible]	22-15-74	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	599-64-32-56	[illegible]
13.	[illegible]	[illegible]	599 01 92 98	[illegible]
14.	[illegible]	[illegible]	577 60 20 11	[illegible]
15.	[illegible]	[illegible]	599-40-92-91	[illegible]
16.	[illegible]	[illegible]	593-94-34-61	[illegible]

17.	[illegible]	[illegible]	598-37-22-77	[illegible]
18.	[illegible]	[illegible]	598-10-44-41	[illegible]
19.	[illegible]	[illegible]	558-32-12-59	[illegible]
20.	[illegible]	[illegible]	595-09-61-74	[illegible]
21.	[illegible]	[illegible]	595-09-61-90	[illegible]
22.	[illegible]	[illegible]	555-66-57-52	[illegible]
23.	[illegible]	[illegible]	593-11-89-27	[illegible]
24.	[illegible]	[illegible]	595-09-61-03	[illegible]
25.	[illegible]	[illegible]	595 09 61 71	[illegible]